



საქართველოს ხელოვნება

СОБЕТСКОЕ
УСКУССТВО

SOVIET
ARTS

SOWJETKUNST

ART
SOVIETIQUE



1969

სამკეთილ საქმეებზე



თევზჭიდი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
რეჟიზორები
ქორეოგრაფები

5

საპარტეზლოს სსრ კულტურის სამინისტროს ორგანო

1969





მკვნი ვუტეჩი

გალაქკელთ მახელი სანისს



საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკის მისამართი: ...



მამანი
ვერტიკი
დედა-
სამშობლო



მუსიკალური ლენინიანა

მერი კოლოშვილი

საბჭოთა მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები მოწოდებულნი არიან დამაჯერებლად და შთაბეჭედავად ასახონ დიდი ბელადის — ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახე. საბჭოთა კულტურის ოქროს ფონდშია შესული მ. გორაკის მოგონებები ლენინზე, ა. ნადრევეის სკულპტურული პორტრეტების სერია, ვლ. მაიაკოვსკის ლექსები და პოემა „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“, ნ. პოგოდინის დრამატული ტრილოგია, ე. კაზაკევიჩის მოთხრობა „ლურჯი რეჟული“ და სხვ.

საბჭოთა მუსიკალური „ლენინიანა“ მრავალ საინტერესო ნაწარმოებს ითვლის. მუსიკალურ ხელოვნებაში ბელადის სახის შექმნა განსაკუთრებულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგან სახეითი ხელოვნების, თეატრისა და კინემატოგრაფისაგან განსხვავებით იგი ვერ წარმოსახავს მის გარეგნულ პორტრეტს — მიიპას, შესტიკულაციას, მეტყველების თავისებურებებს.

კომპოზიტორმა დამაჯერებლად უნდა გახსნას გმირის შინაგანი სამყარო, ბგერწერითი საშუალებით გადმოსცეს პროლეტარიატის დიდი ბელადის მაღალი პიროვნული ღირსებები, მუსიკალური ხელოვნების საშუალებით მოგვიხსროს ამ დიდი მოაზროვნის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ჩვენი თავალუწადენელი ქვეყნის ყოველ კუთხეში მრავალრივან-მა საბჭოთა ხალხმა სიმღერებში უკვდავყო დიდი ბელადი. პირველი სიმღერები ჯერ კიდევ ბელადის სიცოცხლეში შეიქმნა.

მუსიკალური ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშები გვხვობავენ ჩანაფიქრის სიფაქიზით, ბელადის სახის მრავალმხრივობით, სიმდიდრით. ეს სიმღერები განრობრივი თვისებებით ტრადიციული საბრძოლო გმირულ-ეპიკურ სიმღერებს უახლოვდებიან. თვითიულში ხალხის სიყვარული და თავდადება გადმოცემული.

მუსიკალური „ლენინიანა“ ძალზე მრავალფეროვანია. იგი შეიცავს მუსიკალური ხელოვნების ყველა ჯანს — სიმღერებს, გუნდებს, კანტატებს, ორატორიებს, სიმფონიებსა და ოპერებს.

ლენინი ჩვენს შორის ცხოვრობს, როგორც ძვირფასი მგლობარი და ბრძენი მამა, როგორც მკაცრი დამრიგებელი და კეთილი მრჩეველი. სწორედ ასეა წარმოსახული ბელადი საბჭოთა მუსიკალურ „ლენინიანაში“.

აღწინააღმდეგ ბელადისადმი მიძღვნილ სიმღერებს, რომლებმაც ფართო აღიარება მოიპოვეს და დღესაც ცოცხლობენ საკონცერტო ესტრადაზე. განსაკუთრებით პოპულარულია, — ვ. მურადლის „ბელადის სადიდებელია“, ა. ნოვიკოვის „სიმღერა ლენინზე“, ს. ტულოვიკის „ლენინი ყოველთვის შინაანაა“, ა. ხოლმინოვის „სიმღერა ლენინზე“... თვითიულს ავტორის შემოქმედებითი ინდივიდუალობის ბეჭედი ახის, მუსიკალური სახის კეთილშობილება და

ეპიკური სიდიადე, ფართო რუსული მღერადობა და სითბო აერთიანებთ მათ, ისინი უშუალოდობა და უბრალოებით გვხვობავენ.

ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილი სიმღერები მომე რუსუბლიკეშიც შეიქმნა. სახელდობრ, უკრაინელი მუსიკოსების ლ. რევეცკის, პ. მაიშოროდის, ა. ფილიპენკოს, კ. დანევერის, გ. ყუკოვსკის, კ. დომინჩის, ი. შამოს, ბელორუსელი — ვ. ოლინიკოვის, ესტონელი — ე. კაპის და ბ. კირვერას, ლატვიელი — პ. სმილგის, თურქმენი — დ. ოფეზოვის, ჩუვაში — ფ. ლუგინის და სხვათა სასიმღერო შემოქმედება.

მძლავრად ქვეყნის ვოკალური ჯანის ცნობილი ოსტატების — ა. ალექსანდროვის, ა. ნოვიკოვის, მ. ბლანტერის, ა. ოსტროვსკის, ვ. ბელის, ვ. შებტერის, კ. მასალიტინოვის ნაწარმოებები.

მუსიკალურ „ლენინიანაში“ აღსანიშნავია კომპოზიტორების — მ. ჩუსტაკის საგუნდო და ი. შამოს ვოკალური ციკლები ლენინზე, ვოკალურ-სიმფონიური ნაწარმოებებიდან კი თ. ფელცმანის „წითელი მოედანი“ და მ. კლიუხნერის „პოემა ლენინზე“.

ლენინის სახე საოპერო ჯანრშიც შეიქმნა. პირველად დიდი ბელადი ტ. ხრენიკოვის ოპერა „ქარიშხალი“ ვიხილოვ.

შემდეგ დაიდა ვ. დებეტერევის ოპერა „ივანე შადრინი“ (ნ. პოგოდინის პიესის „თოფიანი კაცის“ მიხედვით) და მურადლის ოპერა „ქეტამბერი“. მასში განსაკუთრებით შთაბეჭედავია სცენარაზოვში — ლენინის ესმის ხალხური სიმღერა „კამუშეკა“, აყვება მის პანგებს და ხალხთან ერთად მღერის.

1967 წელს კომპოზიტორმა ი. დებეტერემ შექმნა ოპერა „ძმები ულიანოვიჩი“. ოპერას საფუძვლად მივიღო ისტორიულად ცნობილი ფაქტები ვ. ი. ლენინის ცხოვრებიდან.

ფართოდ და მრავალმხრივად არის გახსნილი ლენინის სახე საბჭოთა სიმფონიურ და კანტატა-ორატორიულ ნაწარმოებებში. პირველ რიგში გამოყოფთ გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორების დ. შოსტაკოვიჩის მე-12 სიმფონიას („1917 წელი“) და ვ. სიგინდოვის „პათოსური ორატორიას“ (მაიაკოვსკის ლექსების მიხედვით). ეს მაღალმატაგურული ნაწარმოებები საბჭოთა მუსიკალური კულტურის ოქროს ფონდშია შესული.

აღსანიშნავია ვ. შეგალინის სიმფონია „ლენინი“, ჯ. პაჩიევის მე-4 სიმფონია — მიძღვნილი ლენინისადმი, დ. კაბალესკის კანტატა — „ლენინი ლენინი“, გ. ბელოვის კანტატა — „ასე გვიანდრება ილიჩინი“, ა. ხოლმინოვის კანტატა — „ლენინი ჩვენთანაა“ (ვლ. მაიაკოვსკის სხვადასხვა ნაწარმოების მიხედვით).

საყურადღებოა, ლევიტინის ორატორია „მამული“, ა. ლენინის ორატორია „ლენინი“, ი. ვასილუნდის სიმფონია-ორატორია „ლენინზე“ (ამ მონუმენტური ნაწარმოების მუსიკალურ ქსოვილში



ორგანულად არის შერწყმული ფრაგმენტები ვლ. მაიაკოვსკის პოე-
მიდან „კ. ი. ლენინი“, ა. ლენსკის ორატორია, ა. სპადავეციას
ორატორიულ-სიმფონიური კომპოზიცია, ა. არუთინიანის ოდა —
მიმღერი დიდი ბელადისადმი (დ. ლენინის ლექსებზე), ა. დო-
ლბანიანის კანტატა „ლენინის ვითი“ და სხვ.

ა. სპადავეციას ორატორიულ-სიმფონიური კომპოზიცია ავებუ-
ლია მრავალფეროვანი ლიტურგატურიული მასალის საფუძველზე.
მღელვარე სიტყვებს ამბობენ დიდ ბელადზე თურქეთის, საბერძნე-
თის, იტალიის, ჩილის და სხვა ქვეყნის პოეტები. მათ ლექსებში
მკაფიოდ იკვეთება სწორუპოვარი მებრძოლის, მოაზროვნის, ადა-
მიანის სახე.

კომპოზიტორის მიერ არჩეულ ლექსებს აერთიანებთ ამაღლე-
ბული ტონი და პუბლიცისტური სიმბოლეუ.

ორატორიულ-სიმფონიური კომპოზიცია „ლენინი — დედამიწის
გაზე“ — ექვსი ნაწილისაგან შედგება.

პირველი ნაწილი — „კანტატა“ ბ. ბრეჰტის ტექსტზე დაწე-
რილი. ეს არის სიმღერა — პიმინი. მეორე ნაწილი — „პეტროგრადი
1917 წელს, სცენა ოპერადან“ დაწერილია ნ. ჰიქმელის ტექსტზე,
მესამე ნაწილი — „მიხაკები“ (არია) — ბერძენი პოეტი ქალი
კ. ანთოსის ამაღლებულად მიჯნობისრობა მაგზოლუემში განდილ
სედაზე, ბელადის ნემტანთ თავმოყრილ მასლიან ყვეფილებზე,
ეს არის ორატორიის ყველაზე გამომსახველი და კანტილენური ნა-
წილი.

მეოთხე ნაწილი — სკერცო — „ლენინი დადის დედამიწიზე“
ლ. ხუხუნი ტექსტზეა შექმნილი. აქ არის მოცემული ორატორიის
კლმინატიური აპოთოზი. მესხუთ ნაწილი — ელეგია „რუსეთი —
უდიდესი ქვეყანა“ დაწერილია ა. აღერამის ტექსტზე. იტალიელმა
პოეტმა მეორე სამბოდედ რუსეთი აღიარა, აქ შევიძინე მან თა-
ვისსუფილები და შემოქმედების სისარული. იგი უღმერს ლენინურ
გენიას, დიად საბჭოთა ქვეყანას და მის ხალხს.

ციკლის ბოლო — მეექვსე ნაწილია რეჩიტატივი, არია და პასე-
კალია „ლენინი — შენ გიძღვინით მაღალბის“ — ა. შერუდის ტექს-
ტზე.

ა. სპადავეციას ორატორიულ-სიმფონიური კომპოზიცია „ლენინი-
ნი“ მუსიკალური გამომსახველობით, მძლავრი დინამიკური განვი-
თარებით ხასიათდება. მასში სოლო ვოკალურ ნიმრებს ცვლიან
მრავალხმიანი მძლავრი გუნდები. ჩანს საოპერო ჟანრის გავლენა
(ეს ბუნებრივია — ა. სპადავეცია რვა ოპერის ავტორია). ამ შხრე,
საყურადღებოა, თვით კომპოზიტორის მიერ ორატორიის მეორე
ნაწილის დასაბუღება: „პეტროგრადი 1917 წელს, სცენა ოპერადან“.
ორატორიის თვითული ნაწილი დამოუკიდებელ სცენებადა გამო-
ყოფილი, იგი მოკლებულია ერთიან ინტონაციურ-თემატურ მასა-
ლას, რაც აფერხებს ნაწარმოების აქტის მილიონობას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავ-
თან დაკავშირებით პირველად აუღერდა თანამედროვეობის დიდი
კომპოზიტორის დ. შოსტაკოვიჩის მე-11-ე სიმფონია — „1905
წელი“, რისთვისაც კომპოზიტორს ლენინური პრემია მიენიჭა. ამ
სიმფონიური კომპოზიტორმა განახორციელა დიდი ხნის ჩანაფიქ-
რი — შექმნა ნაწარმოები, რომელზეც ლენინი იქნა წარმოსახული.
შოსტაკოვიჩის მე-12-ე სიმფონია — „1917 წელი“ შეიქმნა
1961 წ. ეს არის პროგრამული ნაწარმოები. თვითული ნაწილი
დასათურებულია — „რევოლუციური პეტროგრადი“, „რუსლივი“,
„ავტორია“ და „კაცობრიობის განხილვა“. ისევე როგორც მე-11-ე
სიმფონიაში, აქაც თხიხე ნაწილი სრულდება შესუფილებს გაჩემ-
აღსანიშნავია, რომ მე-12-ე სიმფონიაში კომპოზიტორს არ მიუზარ-
თა რევოლუციური სიმღერების ციტრების ხერხისათვის. თუმცა
ზოგჯერ ნაოლად ეგვისმის ამ სიმფონიათა ნაწყინი მგლოდიური მი-
მოქცეებით.

ჯგუფება ჰაკიევის მეოთხე სიმფონია ლენინისადამია მიძღვნილი.
ავტორმა ნაწარმოებს ეპიგრაფად მაქსიმ გორკის სიტყვები წარუ-
ძღვარა. კომპოზიტორმა მიზნად დაისახა შექმნა ბელადის „მუსი-
კალური პორტრეტი“, საბჭოთა ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლის
სურათები, შთაგრენბული ლენინიზმის უკვდავი იდეებით.

ჯ. ჰაკიევა აზერბაიჯანელი მუსიკის თვალსაზრის ნაწარმოები
შექმნა. სიმფონია მაღალ დონეზე დგას დღური მნიშვნელობით,
შთამბეჭდავი მუსიკით, ეროვნული მუსიკის თავისებურებების სა-
ინტერესო გამოყენებით.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა მუსიკა გამდიდრდა კანტატა-
ორატორიული ჟანრის ახალი ნაწარმოებებით. განსაკუთრებით აღსა-
ნიშნავია სერგილოვის „პათეტური ორატორია“ მაიაკოვსკის
პოეტური შედევრების საფუძველზე. კომპოზიტორმა ეს ნაწარმოები
1959 წელს დაამთავრა. იგი საბჭოთა მუსიკალური კულტურის ერთ-
ერთ საფუძვლად აღიარებულია არის აღიარებული.

„პათეტური ორატორია“ შიდი ნაწილისაგან შედგება. ნა-
წარმოების საუკეთესო ნაწილი — „გასახლება ამხ. ლენინთან“. ამ
მონოლოგის (არსებითად კი დიალოგის, რადგან მასში ვ. ი. ლენინი
მონაწილეობს როგორც მსმენელი) მუსიკალური ამბეჭველება დიდ
სირთულეებს უქმნიდა კომპოზიტორს, მაგრამ მან წარმატებით გა-
აწყვიტა ეს რთული ამოცანა.

ვ. ი. ლენინის სახე ქართველ შემოქმედთა ყურადღების ცენტრ-
ში დგას. ამ დიდ თემაზე გატკეპილი მუშაობენ ჩვენი მხატვრები და
მწერლები, დიდად მუშაობენ და კომპოზიტორები, სახალხო პოეტები
და მიმწოდებლები...

ქართული მუსიკალური „ლენინიანა“ მრავალ საინტერესო ნა-
წარმოებს შეიცავს.

ქართველ კომპოზიტორთა შორის ლენინურ თემას პირველად
ზეპარია ფალიაშვილი გამოხმავარა. ეს ვახლავთ კანტატა (სიმფო-
ნიური ორკესტრის სოლისტების და შერეული გუნდისათვის) მიძე-
წილი სოციალისტური რევოლუციის 10 წლისთავისადმი.

შემდეგ კი ლენინის თემა აქტუალური გახდა ყველა თათბის
საბჭოთა ქართველი კომპოზიტორებისათვის.

უკანასკნელ ხანებში ქართულ მუსიკალურ „ლენინიანას“ შეე-
მატა შესანიშნავი სიმღერები „ლენინის ქუჩა“ — ასე უწოდა თავის
ახალ სიმღერას კომპოზიტორმა მ. დავითაშვილმა (ტექსტი ვ. დიდ-
მაძიშვილის). ი. ნონეშვილის ლექსებზე შეიქმნა ა. შავრუაშვილის
სიმღერა „ლენინი, ჩვენი ბელადო“, შ. მილორაავს „სიმღერა
ლენინზე“, გ. გაბიჩავის „ვის თქვა“, თ. გორდლის „პიმინი პარ-
ტიატა“, ნ. სახისის „სიმღერა კეთილ აღმიაზნაზე“ (ხ. ბურულავას
ტექსტზე), ნ. გუღიაშვილის სიმღერა „ლენინი“, დ. თორაძის „მო-
ხვეური სიმღერა ლენინზე“ (გიგაურის ტექსტზე), ი. კეკელიძის „სი-
მღერა ლენინზე“, ტ. ბაქრაძის „სიმღერა ლენინზე“ და სხვ.

დიდი ბელადის სახე მრავალმხრივად აისახა ქართულ სიმფო-
ნიურ და კანტატა-ორატორიულ მუსიკაში. ამ თემას მიეძღვნა
ი. ტუტაძის სიმფონიური პოემა „მაგზოლუემიანა“, მისივე „კანტატა
ლენინზე“, რ. ლალიძის „კანტატა ლენინზე“, თ. თვფლრავის კან-
ტატა „1905 წელი“, თ. ხუციშვილის კანტატა „ლენინზე და პარ-
ტიატა“, ა. შვერუაშვილის ორატორია „ღღებვა ოქტომბერს“
და სხვ.

ი. ტუტაძის სიმფონიურ პოემას „მაგზოლუემიანა“ საფუძვლად
დაედო კომპოზიტორის მუსიკა საქტაკლისათვის „თოფიანი კაცი“
(ნ. პოლოდინის აზავე სახელწოდების პიესის მიმდევრო) ეს ნაწარ-
მოები 1939 წელს შეიქმნა და მიეღვნა ვ. ი. ლენინის ხსოვ-
ნას.

კომპოზიტორის მიზანს არ წარმოადგენდა დიდი ლენინის სახის
გახსნა. იგი ისრუფვიდა ვადგამდა სულსკვეთება სხვადასხვა ეროვ-
ნების აღმიაზნების, რომელნიც ბელადის სხვისინ პატვასკემად



უწყვეტ ნაკადად მიედინებიან მავზოლეუმისაგან. ეს განაპირობებს ნაწარმოების ლირიკულ ხასიათს, თუმცა პოემაში ლირიკული საწყისი ეპიკური ძლიერებით არის გადმოცემული.

პოემის შესავალის ცივი, პირქუში ხმოვანებით კომპოზიციური გადმოსაცემს ნაღვლიან ჩაფიქრებს მავზოლეუმთან, აქ მოცემულია სუსხიანი ღამის პოეზია, და რველუცადმდელი რუსეთის სურათიც ნაწარმოებს ავჯივრინებს სახეობა მუსიკა — მასობრივი სიმღერა — მათში. იგი რველუციის გამარჯვებას უძღვრის და მგზნებარე აპოთეროსს გამოხატავს.

ი. ტუსკია შეგნებულად გვერდს უხვევს მშობლიური ეროვნულა მუსიკის სფეროს, მიმართავს რუსულ ხალხურ სასიმღერო მასალას, რაც მკაფიოდ ჩანს ბაიანის ფართო და მღერად თემაში. ეს მელიო-დია, რომელიც კომპოზიტორმა ჩაიწერა ბაიანისტ კუნცეცივისაგან, ძალიან უყვარდა ლენინს.

ამვე თემათ არის შთაგონებული ი. ტუსკიას „კანტატა ლენინ-ზე“ (ბანის, ტენორის, ბარიტონისა და შერეული გუნდისათვის). ეს არის ძიონი ბელადზე. მასში ავტორის თავიანთი და სიყვარული გამოხატული.

კანტატა იწყება მტკვარე, ომახიანი ვივრადობით (ბანის სოლო).

„შენ, მთელ ქვეყნის ჩარულთა დროშა და აღმავრთა ხარ, იწიკა მტკვარელები, დათრუნა, ლენინ, შენა ხარ.“

კომპოზიტორმა კანტატა გაიზარა, როგორც ბელადისა და სპ-ჭოთა ქვეყნის ყველა ერის სადიდებელი მრავალგამიერ:

„შენის დროში აღსდგომით ჩვენ მშვიდობის პიშვებს ვმღერით ვინა ხალხს, ყველა ერს, მრავალგამიერ.“

რ. ლადიის შემოქმედების ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებს წარ-ნიადგენს „კანტატა ლენინზე“. ეს ნაწარმოები 1961 წელს შექმნა (ი. აბაშიძის ტექსტზე, ვაჟთა გუნდისათვის, ორკესტრის თანხლებ-და და წარმოდგენს ბელადის სადიდებელ მოსს. იგი იწყება და მთავრდება მძლავრ ხმოვანებით, ფანფარული რიტმით („დი-დება ლენინს, დიდება, დიდება, ვაჟა!“). კომპაქტური საგუნდო ფაქტურა და ელვარე ფერები შთამბეჭდავს ხდის ამ ნაწარმოებს.

„შენი სიტყვა ქვეყნისა ელვას მოხად ქველად ხალხთა მშენებლად, შენი აზრი წვიმდობათი ზეცის თლის ვასახსნებლად.“

სე მიმართავს ხალხი დიდ ბელადს.

კომპოზიტორმა ბ. ხუციშვილმა შექმნა „კანტატა ლენინზე და პარტიაზე“ სოლისტების, გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისათვის. ამ ნაწარმოებს საფუძვლად დაედო ქართველ პოეტთა ლექსები. კანტატა სამი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში — „ცარიზ-მის უკანასკნელი წლები“ — ჩვენი ხალხის მიმე წარსული, მისი სიღუპეზე ვახსოვრება.

მეორე ნაწილში — „განიადი“ წარმოადგება დიდი ლენინის ნაივლი სახე. მასში გადმოცემულია ხალხის გმირული ბრძოლა ლენინის ხელმძღვანელობით და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რველუციის გამარჯვება.

მესამე ნაწილი — „დიდება ლენინურ პარტიას“ ავჯივრინებს ნაწარმოებს. ეს არის ბიძი კომპოზიციურ პარტიაზე, მის ბე-ლადზე, საბჭოთა ხალხზე — ჩვენი ეპოქის უდიდეს შემოქმედზე.

კომპოზიტორ ა. შავერსაშვილის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარ-მოებს წარმოადგენს ორატორია „დიდება ოქტომბრის“, რომელიც კომპოზიტორმა 1958 წელს შექმნა ა. გრუზინსკის ტექსტზე.

ა. შავერსაშვილის ორატორია ეპიკური მოთხრობაა ჩვენი ქვეყ-ნის რველუციურ წარსულზე, მის მემჩობლ ხალხზე, გამარჯვებაზე. კომპოზიტორმა დამაჯერებლად წარმოსახა დიდი ლენინი („ეს-ტვირეს სიმღერა ლენინზე“), ორატორის ფინალი ვ. ი. ლენინის უკვდავ საბჭოთა სადიდებელ ბიძად ვერს.

ა. შავერსაშვილის ორატორია გმირულ-ეპიკურ ეპიზოდს გადა-წყვეტილი.

ორატორის I ნაწილი (Adagio non troppo) — „წარსულის დღეები“ პირველ განყოფილებებს დაზოგვემს, საგუნდო პარტიკულ დაძაბულად ვერს:

„ის დრო არ ახსოვთ, არ განვლიდათ მდინერი მავგებს და მათისი აბათი, როგორც უბრუნება აფხაზეთში იმ დროს მშვეულ ჩვენს მთავართა.“

ყურადღებას იპყრობს ფუტეტი — ხმების თანდათან ჩართვას მოჰყვება ხმოვანების გაძლიერება, რომელიც კულმინაციას მიაღწევს სიტყვებზე: „მშობლად ქვეითნი, წაშება, ძარცვა“, შედეგ სარეს-ტრო პარტიაზე ნათელი და გამჭვირვალე ხდება, ფლუციის მელიო-დია აზხადებს ქალთა გუნდს, რომელიც ნათელ მიმავალზე ოცენ-ბობს:

„ცხოვრობდა ყველა მხოლოდ იმედით, მოხალისეკენ ზელებ ვაწვდილი.“

მეორე ნაწილი (Allegretto) — „მეტვიგრეს სიმღერა ლენინ-ზე“ (სოლო ტენორისათვის) ვინფორული ხასიათისა. მისი მუსიკა-ლური მასალა კოლორატულია და ეროვნული ელფერით გამოირჩევა. აღსანიშნავია ორკესტრში სტეირის იმიტაცია. ამ ნაწილში გამიხა-ტულია ხალხის უსაზღვრო სიყვარული ბელადისადმი.

„როცა ვმღერი, შენ ვიმღერო, ხალხის იმეს, ხალხის შაშას, ვის სტყვამზე მძიმე წაწული მოვედებო, მოვედებო.“

მესამე ნაწილი (Andante maestoso) — „რასლიფში“ (სოლო ბანისათვის). საყვირის ფანფარული მოწოდებით იწყება თხრობა დიდ ბელადზე:

„ესიკარმა ფრთებით შეიპო ზეცის და ტრახე ვაწვენს ღრუბლის ჩრდილები, სტყვანაუბლი ოღვერე ალვენი ტირიფერეთი თვედებოლინი. ასეთი დღე სტყვანის სახლს განა ეს კუთხე კიდევ ვაგაგებს ზის ცეცხლის პირას, სადად ჩაქმული და წერის მოხალისე უკვდავ სტრიქონებს.“

მეოთხე ნაწილი (Allegro) — „ოქტომბერი“ ორატორის ცენტრალური ნაწილია. მძლავრ კომპაქტურ ხმოვანებაში ბრძოლის დრამატული სურათებია ასახული. ეს ნაწილი სინატური ალვერის ფორმისა დაწერილი.

სინატური ალვერის პირველი თემა დრამატული ხასიათისა, მეორე მარშისებურად ვერს და რველუციონერთა სვლის ასოცი-აციას იწყებს. დამუშავება ორმავე ფუვას წარმოდგენს, მასში სინე-ტური ალვერის ორივე თემა ტრანსფორმირებას განიცდის და ჰე-რიოკულ ხასიათს იძენს.

მესხუე ნაწილი — „ჩვენი ქვეყნის მთა-ბარი“ (Allegretto ქალთა გუნდის და ორკესტრისათვის) ლირიკული ხასიათისა, გამჭვირვალე ხმოვანებით, ინტონაციური მასალით, „მეტვიგრეს სიმ-ღერას“ უახლოვდება. ნათელი, მეტყველი მელიოდა მშვიდობიანი ცხოვრების მრავალფეროვან სურათებს ასახავს.

მეექვსე ნაწილი (Maestoso), „სალამი, დღესასწაულს“ — ორატორის ფინალია. მედგარი, მზენ, საღვთსაწაულთ ხმოვანებით სხახლო ზეიმის ბრწყინვალე სურათს ვიცხატავს.

ფინალის შუა ეპიზოდში გაიხიის „მეტვიგრეს სიმღერის“ მელიო-დია. კომპოზიტორის ჩანაფიქრი საყვირით ლოკიერია — ხალხი აღდებთ ლენინს, რომელმაც გვა გაუკავა მას ნათელი მიმავლი-საყენ.

„ეთი ოცნება ცვა თვედებოლინი, მტვირდის ფრთებზე აფრენილი, მივბოლებოა როგორც დროში არი დიდი ლენინის.“

საბჭოთა მუსიკალური „ლენინისა“ ყველავე გამდიდრდება სხვა-დასხვა ეპიზოდს მალაღმსებურად ნაწარმოებებით. ევკვარეშე, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი შთავაზინებს საბჭოთა კომ-პოზიტორებს მალაღმსებურად გამსჭვალენ ნაწარმოებების შესაქმნელად.

ოთარ თაქთაქიშვილის საფორტეპიანო კონცერტი



ოთარ თაქთაქიშვილის საფორტეპიანო კონცერტი ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში. სადირიჟორო პულტთან ავტონა

თამარ ხუროშვილი

შსსსპალური ისტორიიდან თვალსაჩინოა, რომ რთული შერჩევითი პროცესის გაელა სჭირდება ყოველ ახალ ნაწარმოებს. ხანგრძლივი დროა განკუთვნილი მის „გამოსაცდელად“, საშემსრულებლო რეპერტუარში დასამკვიდრებლად. ქართულ ინსტრუმენტულ მუსიკაში მრავალადაა ასეთი ქმნილება; მათ შორისაა ო. თაქთაქიშვილის საფორტეპიანო კონცერტი. ეს ნაწარმოები არსებობს მეორე ათეულ წელს ამთავრებს და ამ ხნის მანძილზე არასოდეს ჩამოსულა საკონცერტო ესტრადიდან. შემსრულებელთა და მსმენელთა ინტერესი თავიდანვე მიიპყრო, დროთა მანძილზე მისი პოპულარობა კიდევ უფრო გაიზარდა, განსაკუთრებით მიზმიდევლი გახდა იგი ავტორის ინტერპრეტაციით. სამუთოა კავშირის არა ერთ ქალაქში ხვდა დიდი წარმატება ო. თაქთაქიშვილის საფორტეპიანო საღამოსებს, რომელთა რეპერტუარში საფორტეპიანო კონცერტიც ყოფილა. ო. თაქთაქიშვილი — დირიჟორი თბილისელ მსმენელსაც დიდ ესთეტიკურ კმაყოფილებას განაცდევინებს ხოლმე. ახლახანს გამართულ საფორტეპიანო საღამოზე სხვა მნიშვნელოვან ნაწარმოებებთან ერთად განახლებულად აქვლერდა საფორტეპიანო კონცერტიც. ამან კიდევ ერისხელ დავგარწმუნა — მას დრო ვერ მოერია და ისევე შამამტოდავი და სიცოცხლისუნარიანია, როგორც ამ თვრამტეოდელ წლის წინ.

ო. თაქთაქიშვილის საფორტეპიანო კონცერტი კომპოზიტორის შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდშია შექმნილი. იგი ქრინოლოგიურად მიეკუთვნება იმავე პერიოდის კიდევ ორ მნიშვნელოვან ქმნილებას — პირველ და მეორე სიმფონიებს. კომპოზიტორის შემოქმედების ამ ერთ-ერთ ცენტრალურ ბირთვშია თავმოყრილი მისი ინდივიდუალობის მნიშვნელოვანი მხარეები.

შემოქმედების აღნიშნულ ეტაპზე ოთარ თაქთაქიშვილი სისტემატურად უზრუნდებოდა ინსტრუმენტულ კონცერტს. სხვადასხვა დროს შექმნილი კონცერტები მხატვრული დონისა და სტატობის მხრივ განსხვავდებიან. თუ პირველი მათგანი — ჩელოს კონცერტი (D-dur) ისე, როგორც კონცერტეტუკი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის (C-moll) ახალგაზრდულ ცდას წარმოადგენდა და კომპოზიტორის მემკვიდრეობაში შოლოდ გარდაზავალი ადგილი მოიპოვა, საყვირის კონცერტმა და განსაკუთრებით კონცერტინომ მიოლინისათვის სათანადო ადგილი დამკვიდრეს საშემსრულებლო პრაქტიკაში. ისინი არ ჩამოუვარდებიან ავტორის სხვა აღიარებულ ნაწარმოებებს.

ამ განრის საეტაპ ნაწარმოებელ მინც საფორტეპიანო კონცერტიც არება. იგი ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენაა სასოფადლო ქართულ ინსტრუმენტულ მუსიკაში.

ო. თაქთაქიშვილის შემოქმედებითი პრინციპები მისი სიმფონიურ ციკლებში ჩამოყალიბდა. აღიარებულია აზრი, რომ მან საკარტეფლოს ინსტრუმენტულ მუსიკაში ღირიკო-დრამატული სიმფონიზმის ახალი ნაკადი შემოიტანა. ო. თაქთაქიშვილის შემოქმედებითი სტილის ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი შეასრულა რუსულმა სიმფონიურმა მუსიკამ, კერძოდ, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ, ჩაიკოვსკის მემკვიდრეობამ და განსაკუთრებით ერთგვლი მუსიკალური ტრადიციების საფუძვლიანმა ათვისებამ. საუელისხმაა, რომ



ოთარ თაქთაიშვილის საკცერტო კონცერტი გ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში. საკცერტო სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, ბელორუსიის აკადემიური საუნდო კაპელა, სოლისტი ირაკლი შუშინია, სადირიტორო პულტან — აგვირი

კომპოზიტორი ოთარ თაქთაიშვილი სადირიტორო პულტან



ირაკლი ანდრონიკაშვილი:

დღი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ამ დღებულმა გალობამ სიმფონიური ორკესტრის დამატებულმა მითხრობამ. მომეწონა, მკაცრად და მწუხრად უფრდა ბელორუსიის კაპელის გუნდი, ტალანტი, დაწმუნებით, გზაცებით და მაღალი პროფესიონალიზმით დირიჟორად. საქართველოს სახალხო არტისტი ოთარ თაქთაიშვილი. მისი ორატორია „რუსთაველის ნაკვალევზე“ სახელმწიფო პრემიის ღირსი გახდა. იგი მთელ საქართველოს განასიებებს... თვალწინ გაიქცა ვარაზამ, ვარაზამ, საქართველოს სახელმწიფოს, მისი უკუღმის ავადების ხანამ, წამოიჭრა ფერები შოთა რუსთაველზე. მის უმედიანზე... თითქოს ხედავ — უცხოეთში გადახვეწილ მარტოხელა შოთას, გესის მისი ფიქრები — სამშობლოზე, სიყვარული ანთებულ სიტყვები, მშობლიურ ენას რომ მიზარავს. მართლაც, ორატორიაში შოთას თვითული სიტყვა, მისი ხმის თვითული ბგერა ქართული მიწისაღმა ერთგულურებს გამოხატავს, გერა — უკვლავა მისი ტრეობა დიდებული ქართველი ქალბატონი და ბოლოს, ორატორია გადმოსცემს უკანასკნელ აღმობინას, ბედმა რომ უცხოეთში აიგუნა ამ პოეტთან უდიდესს!

ყოველგვან ირაკლი ანდრონიკაშვილის პოეტურ შემოქმედებაში გაიკა პირველად განსაზღვრულს ოთარ თაქთაიშვილის მშვენიერ მუსიკაში. ეს მუსიკა უჩვეულოა, ახალია, იგი პირდაპირ როდი უკავშირდება ცნობილ სიმღერებს, ხალხურ თემებს, ნაცნობ მუსიკალურ მიმოქცევებს. ეს არის ძალ-

ზე ნათელი, გამჭვირავი, უველასათვის მისაწვდომი და გამოკეთილი მუსიკა.

ირაკლი ანდრონიკაშვილი ორატორია „რუსთაველის ნაკვალევზე“ და ახლა, როდესაც მუსიკას ისმენ, უფრად წამოიჭრება დროთა დაპირისპირება, ერთმანეთში ირგვა რუსთაველის პიროვნებით გამოწვეული რთული ასოციაციები — ფიქრობ მის პოემაზე, მის ბედობაზე, საქართველოს ბედობაზე და იმ მაღალნიჭიერ ქართველ მხატვარზე — პოეტსა და კომპოზიტორზე, რომელმაც საუკუნის სიღრმეში გენიოსის ანდრონიკაშვილის ეს ოპერა, გაუფლურა, მკ ვიტყუდი — გამომეცხა წაწამოქმედი გაზაფხუ, მაგრამ რაც უფრო მაღალ თემას განასიებებს, სულ უფრო გაბედულია იგი, მით უფრო მშვენიერია ის სხანარული, რომელსაც 40 წუთის მანძილზე მათან შეხარბიობი განიცდი.

ლექსები, მუსიკა, სოლისტები საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრისა და ბელორუსიის კაპელის შესრულება, მიედლო კონცერტი ოთარ თაქთაიშვილის ნაწარმოებებიდან და განსაკუთრებით შორეული საუკუნეებიდან ჩვენამდე მოღწეული პოეტის ხმა — უველასათვის მისაწვდომი და გამოკეთილი მუსიკა.



სოლისტი თამარ გურგენიძე და დირიჟორი
თაბაჩი თაქეშვილი

ო. თაქეშვილის შემოქმედებითი სიმუზის ხანა ქართული სიმფონიური მუსიკის აღმავლობას დაემთხვა. ამ დროისათვის მტკიცე ეროვნულ საფუძველზე მდგომმა ქართველმა კომპოზიტორებმა ძირითადად დასძლიეს თანამედროვე კაპოტოა მუსიკალური აზროვნების ნორმებისა და შემოქმედებითი სტილის ათვისების ამოცანა.

თანამედროვეობის თემატიკაც თანდათან მნიშვნელოვან ადგილს იმკვიდრებს იმ დროის ქართულ მუსიკაში. სწორედ სიმფონიურ ჟანრში ჰქონდა მას მეტი წარმატება.

მაგრამ ზოგიერთ ქართულ ნაწარმოებში იმდენადაა წამოწეული თანამედროვეობის პრობლემა, რამდენადაც მათში იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი მუსიკალური აზროვნების ზოგადი კანონების ჩამოყალიბებას აქვს ადგილი, კონკრეტული სახეებითა და სიუჟეტით ეს ნაწარმოებები შედარებით ნაკლებად არიან დაკავშირებული თავის დროსთან. უფრო ხშირად გვხვდებით თანამედროვე თემატიკისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებს, ვიდრე თვით ამ თემატიკის სახეობრივ განხორციელებას.

თანამედროვე თემატიკას სრულიად ახლებურ გავგებს აძლევს ო. თაქეშვილი. მისი შემოქმედება თანამედროვე ცხოვრების ახალ ეტაპზე დაიბადა, ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარების გარდატეხისა და მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის აღმავლობის პერიოდში.


კომპოზიტორის ნაწარმოებები გამსჭვალულია თანამედროვეობის იდეებით. თავისი თაობის აღმიანზეზე წერს, იმ ახალგაზრდა გმირებზე, რომლებიც უდიდესი გატაცებით და თვადღებით ჩაებნენ ახალი წარმატებისათვის ბრძოლაში. შემოქმედისათვის მასობრივია ის გარემო, რომელშიც მისი გმირი ტრიალებს.

როგორც რეალისტ კომპოზიტორს, ო. თაქეშვილს აინტერესებს ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბების პროცესი, ანალიზებს თავისი თანამედროვის ფსიქოლოგიურ სამყაროს, განწყობილებების მნიშვნელოვან ნიუანსებს. ასეთია მისი მუსიკალური ნაწარმოებების შინაარსი. ამ საფუძველზე აყალიბებს

ო. თაქეშვილი პირველი სიმფონიის იდეურ კონცეფციას, რომლის გაღრმავებას შემდგომ ნაწარმოებებშიც ვხვდავთ.

ო. თაქეშვილის საფორტეპიანო კონცერტი, პირველი და მეორე სიმფონიების შუალედ პერიოდში შექმნილი, მათი მხატვრული პრინციპების მოზიარე და დიდი სიმფონიური მასშტაბის ნაწარმოებია. ნათელია კონცერტის კონცეფციური კავშირი როგორც პირველთან — თანამედროვეობის პრობლემაში, დრამატურგიული განვითარების პრინციპებით და კონსტრუქციით, ისე მეორესთან — დრამატული კონფლიქტების გამწვავებით (რამდენადაც ამის შესაძლებლობას იძლევა კონცერტის ჟანრის სპეციფიკა).

ის, რაც გაღრმავდა კომპოზიტორმა პირველი სიმფონიის გმირის შესახებ, კიდევ უფრო გააღრმავა კონცერტში და დიდი დრამატული ქვლედობა მისცა მეორე სიმფონიამ. ამიტომაც ო. თაქეშვილის I სიმფონია, საფორტეპიანო კონცერტი და II სიმფონია შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც შეუწყვეტელ დინამიკურ განვითარებაში მოქმედი დრამატული სახის ამსაველი დიდი სიმფონიური ტრილოგია.



ო. თავთაქიშვილი თელი შემოქმედებით დაეკავიერებულა ერთგულ ტრადიციებთან, მაგრამ იგი არასოდეს უცვლელად არ იმერებს უკვე მიღწეულსა და ტრადიციად ქველს. იგი ქართული პროფესიული მუსიკის ცენტრში ტრიალებს და აქტიურად მონაწილეობს ტრადიციების შემდგომ განვითარებაში. ამ მხრივ გააუქმელი ნაწივი გადაიგვა საფორტეპიანო კონცერტშიც, რომელშიც კლასიკური და ეროვნულ-ტრადიციული საშუალებები საინტერესოდა შეთავსებული ნოვატორულ სახეობაში. ამასია ამ ნაწარმოების ერთ-ერთი ძირითადი დირხვა.

ო. თავთაქიშვილის კონცერტი ერთიანი იდეის უწყვეტ განვითარებაზე აგებული. მის მუსიკალურ დრამატურებაში წყვედება დრამატული კონფლიქტის პრიციები. მაგრამ ამასთან არავითარ გაორებას, ამ შინაგან წინააღმდეგობას არა აქვს ადგილი. კონფლიქტს, როგორც გარკვევას, აქ ძირითადი ლეიტემეა განასახიერებს. ქართული ინსტრუმენტული კონცერტისათვის სრულიად ახლებური აღმოჩნდა ცენტრალური იდეის მატარებელი ლეიტემეის გამოყენება განვითარების ეს პრიციები. ლეიტემეის დანიშნული ტრანსფორმაციები ნაწარმოების სხვადასხვა ეპიზოდებში კონფლიქტის გადალახვას, მის დაძლევას სწორავს. ამრიგად, მონოთემატური პრიციები, რომელიც უხეი არ იყო ქართული სიმფონიური მუსიკისათვის, ახლებური დრამატურული დაეწყებას ღებულობს განსახილველ ნაწარმოებში.

ახალმა შინაფორმამ განაპირობა აგრეთვე საკონცერტო ციკლის ფუნქციების ახლებურად გადაწილება. ეს შეეხება როგორც ახალი ნაწილის — სკერცოს შეტანას, ისე წელი ნაწილის გადატანას ციკლის მესამე ადგილზე და აგრეთვე კომპოზიციური ფორმის გადაწყვეტას მეორე ნაწილიდან (სადაც უფრო ხშირად ესვდებით კლასიკურ კონცერტებში ამ ფორმას) ფინალში. ყველა ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა იმდენად კერძო ფორმალური დეტალი, რამდენადაც ის, რომ თვით კომპოზიციის სასიათში მტკიცედება ავტორის იდეურ-სტილისტური გეზი. მნიშვნელოვანია ისა, რომ შინაარსი აქ ფორმის განსასაზღვრელ ფაქტორად და მისი ძიება კომპოზიტორის შემოქმედებითი აქტივობის ძირითადი მხარე.

რაც შეეხება კონცერტის თანაწილიანს ციკლს, არც ეს არის შემთხვევითი მოვლენა. XIX საუკუნის მიულ რიგ კომპოზიტორებს ჰქონდათ ამ ვარსის ახლებურად აგების ტენდენცია. ჯერ კიდევ შუამისა და მენდელსონი მიუთითებდნენ კონცერტის შუა (ნელი) ნაწილსა და ფინალს შორის კიდევ ერთი შემკავშირებელი ნაწილის აუცილებლობაზე. ოლისტის პოემური ტიპის ერთნაწილიანი კონცერტები ფართო თანაწილიანობაზე აგებული; მისი პირველი კონცერტის (Es-dur) მესამე ნაწილი (Allegretto vivace) სკერცოს წარმოადგენს. ბრამსის მეორე საფორტეპიანო კონცერტის (B-dur) პირველი თანაწილიანი საკონცერტო ციკლია, თუმცა თანაწილიანობა საბოლოოდ არც ესა შემდეგ დამკვიდრდა.

რუსულ კლასიკურ კონცერტში იყო ცდები სკერცოს შეტანისა ამ ფორმის სიმფონიკის ტენდენციასთან დაკავშირებით. ასე იპოვის პირველი კონცერტში (B-moll) ჯგერდითი ორთავიანი აკოორდის (Allegro vivace assai), თუმცა იგი დამოუკიდებელ აკოორდად არ არის განყოფილი, არამედ მოთავსებულია კონცერტის მეორე ნაწილში, როგორც მისი შუა ეპიზოდი.

რამანინოვის მესამე კონცერტში ფინალის ცენტრალური ეპიზოდი (Scherzando molto leggiero) ნამდვილ სკერცოს წარმოადგენს.

როგორც ჩანს, საკონცერტო ციკლის გაფართოების პრობლემა ამ დროისათვის მომწიფდა და ნამდვილ რეალიზაციას მოითხოვდა. ეს განაწინადებდა დაეკავშირებულ იყო ვარსის ახლებურ გაგებასთან და მის შინაარსობრივ ევოლუციასთან, რაც მან უკვე კლასიციზმის შემოქმედებაშივე განიცადა.

საქართველოში თანაწილიანი კონცერტის ნიმუში ა. ბალანინა-

ვადის პირველი საფორტეპიანო კონცერტი წარმოადგენს. ისე, როგორც აღნიშნულ შემთხვევაში, აქაც ციკლის გაფართოება ნაწარმოების შინაგანიერთაა განაპირობებული. მისი ალტერა, ასაი, სკერცო და ფინალი შევიანობა, როგორც ერთიანი სიმფონიული პოემა.

საკონცერტო ციკლის ცვალებადობა განსახილველ ნაწარმოებშიც, მონუმენტურ შინაგანიერთად და ფორმის სიმფონიკის ტენდენციასთან არის დაკავშირებული.

ო. თავთაქიშვილის საფორტეპიანო კონცერტს ამ შემთხვევაში უფროდებ პირობაული, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, თუმცა მასში ნაგარაუდგვია გარკვეული სიუჟეტური ქარვა. უფრო სწორად — ეს დღეი ლირიკო-დრამატული სიმფონია ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. ამასთან თავთაქიშვილის საფორტეპიანო კონცერტი გამოირჩევა ამ ვარსისათვის დამახასიათებელი ემპეტური სასტრადოდ ბრწყინვალეებით, არტიტულ-ვირტუოზული საწყისის გამაჩვილებით.

კონცერტის ნაწილები მუსიკის სასიათის მხრივ მკვეთრად კონტრასტულია; დასაბუთი ლირიკო-დრამატული სონატური ალტერადან კომპოზიტორი შუა ნაწილების (სკერცოსა და ანტრეტოს) უფრო მშველ განწყობილებაზე გადადის (თუმცა აქაც გრძელდება დრამატული განვითარების ხაზი), ფინალის მუსიკა კი ენერგიულ, მქებაზე, საწვიმო განწყობილებაზე ალადგენს.

ნაწარმოების ცენტრალური გამაერთიანებელი თემა თუქა უმთავრესად ფანჯარულ სახეს იმარტუნებს, მაგრამ ყოველი გამოჩენისას იცვლის აზრობრივ მნიშვნელობას; მკაცრი პირქუში მოტივი ფინალში ძირველ ემოციური ცვალებადობას განიცდის და ბრწყინვალე მკერეული საწვიმო განწყობილებით რელიეფურად გამოატყავს ნაწარმოების ძირითად აზრს.

სკერცო ამ თემით შესნება კონცერტის პირველი ნაწილი (Allergro molto), აქ იგი ორგანოს როლის ასრულებს.

მკვიცილნი დადამავალი მოძრაობა, ენერგიული, შივადამე ტრიოლბინი რიტმი, ფანჯარული სიმონაგება (კალტორნები, ტრომბონები — მიული ორგანოსის ფონზე) თავიდანვე დაძაბულობას ქმნის და პლაკატურ იერს აძლევს ამ თემს.

იმავე ინტონაციებზე აგებული მკერე კადენცია ფორტეპიანოს პარტიამა (F-dur), შევიანობა, როგორც პაუზები შესაღლის თემის საბრძოლო მიწოდებაზე. ამრიგად აქვე, ამ ლკონურ ინტონაციუციაში ჩნდება მიწინააღმდეგე ძალა და მსმენელის ყურადღებაზე თავიდანვე ბრძოლისა და მოქმედების სფეროში ექვეყნა.

სონატური ალტეროს თემები კონტრასტულ სახეებს გადმოგვქმენ, თუმცა ისინი დაპირისპირებულ ძალებს ამ წარმოადგენენ.

ძირითადი თემის (c-moll, Cantabile) საწყისი მღვანავი მოტივებიც მისავლის თემის დამახასიათებელ საკადანსო მოტივს წააგავს (დამავალი ტერცია — ტრიციაზე e-c). სწორედ მისეან იქნეს ეს ახალი სახე დრამატულ ელემენტებს. იმავე ინტონაციურ მარცვლზე აგებული კვილორბინის მოლტალბინი ფორტეპიანი შევიანობა, როგორც თემის რიტმულად მორგანისებელი ფაქტორია. ეს რიტმული ფორმულა თემის ექსპოზიციას აწაადგენს და აქ მსოლ საკონცერტო თანსლების როლით იფარგება, შემდეგ კი ერთ-ერთ აქტიურ ძალად მოვეცილებება; შესაღლის თემსთან დაპირისპირებით დრამატული კონფლიქტის პირველ ეტაპს ქმნის და მუშავდებაში.

ძირითადი თემა (რომლის პირველი ექსპოზიციია სოლო პარტიას ცვალება), თავიდანვე ამ წარმოსტეგვა როგორც ახალი თემისი. მისი შემკავალი წვეტელი ინტონაციები თანდათან ყალბდება მითანი მელიდორი სახედ: მითრამა ფართოვდება, ორდება დააპაზონი, რთუდება ინტონაციური ხაზი და თემის მეორე ნახევარი ფართო მღვანე მგლოვანი იმღვება. მასში ორგანულად შერწყმული დრამატული და ლირიკული საწყისის გაღრმავება და განვითარება ისახავს კომპოზიტორი შემდგომ ეპიზოდებში. ზოლომვე შინარჩუნებული უისონიური სიმონაგება კომპაქტურობას მატებს თემს.



ახალი ფერებით იმისგან საორკესტრო პარტია ექსპოზიციანი (g-moll): ფორტეპიანოს მართლვარე პასაჟების ფონზე კლარინეტებისა და ჩლოების დუბტი იგი პაიეტურად ღვრის. ორკესტრისა და ფორტეპიანოს დასკვნით დიალოგში თემის საწყისი მოტივი ამ პარტიის ხასიათი ფაქტურის დასაბამს იწყებს. განვითარების მივალ ამ მიზანს ძირითად ემიციური სახე ექსპოზიციის ფარგლებშივე უფრო დრამატული და მღელვარე ხდება. დამუშავებაში კი მძლავრ მონიარულიდგე ძალად გადაიქცევა შესავლის თემისთან ერთობრობაში.

დამხმარ თემს (G-dur, dolce Cantabile) ნათელი, ღირვეული განწყობების შემოაქვს. ერთ სუბექტავ აგებული ფართო მეტაკული მუღლია ამ თემის საბოლოო წარმოშობაზე მივითითებს; ინტონაციური წყობითაც ძველებურ ქალაქურ სიმღერას უახლოვდება. ექსპოზიციის წინა დასაბოლო ეპიზოდის შემდეგ, ეს ღირვეული კანტაბლე მეტად ნაზად და მომბოძებულად ჟღერს. დასრულებული ემიციური შინაგანსა და გამომსაველი მუღლიდური კანტილენით პოეტური რამანის შობაგედობებს სტოვებს. ასან დასაბურებს მისი ექსპოზიციის ფორმას. დასტურების ვარაიციული ცვალებადობა, საორკესტრო ტემპებისა და ტრანსლათია ცლა (G-dur, H-dur ნაქრატული, F-dur, D-dur, G-dur) — ხელს უწყობს ამ თემის შემდგომ სიმფონურ განვითარებას.

სწორად ამ თემაზე აგებული სონატური ალგეროს პირველი კულმინაცია, რაც ღირვეული საწყისის დიდ მნიშვნელობაზე მივითითებს ნაწარმოებში. ამ საორკესტრო კულმინაციაში თემის პირიდან ნახი საოცნებო კოლორიტი ადგის უმიზნო უფრო ხალიხან განწყობილებას, რაც ხაზგასმულია საერთო მატორული ტონუსით.

დასკვნით ბოლოში ორკესტრში შემორჩენილი ასვე თემის ცალკეული მოტივები კვლავ ღირვეული გიტონობების სფეროში გვამოყვებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თემის რემინისცენციის ასეთი ბუნება, რომელიც კონცერტის ყველა ნაწილს ახასიათებს, გვხვდება აგრეთვე ო. თაქაიშვილის სხვა ნაწარმოებებში.

დამუშავებაზე მკვეთრი, მოულოდნელი გახსნა, კონტრასტული დაპირისპირების ტრადიციული ხერხი, ასევე დამასათოებელი ო. თაქაიშვილისათვის. მუსიკალური მასლის დამუშავების საშუალებები მეტად უზარალო და ნათელია: დიდი მნიშვნელობა ენიჭება პარზონული ენის გამაძვრებას და ორკესტრული გამომსახველობის მრავალფეროვნებას. თემების კარდაქმნიანთვის კომპოზიტორი ძირითადად მათ შინაგან ენერჯიას იყენებს. ადვილი არ აქვს პარტიტურის გადატვირთვას დამატებითი ეპიზოდებით. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართული სპიდიდოს რიტმზე წარმოშობილ გამწვლეულ კაპოზს, რომელიც ერთგვარ ილუსტრაციულ მომენტს ქმნის (presto), სონატური ალგეროს ამ ცენტრალურ მონაკვეთში თემატური მასალა ძირითადი დრამატული ღერძის — შთავარი ლეგენტიურის შესავლის თემის ერთგვლივ კონცენტრირებული. მისი დაპირისპირება ძირითადად თემისთან შევად კონფლიქტურ წარმოშობს (დამხმარ თემა დამუშავებაში არ მონაწილეობს). დამუშავების ცენტრში სოლისტისა და ორკესტრის შეჯიბრი, თემების მნიშვნელოვითი გატარება სხვადასხვა საორკესტრო ტემპებში, დინამიკურ ტალღის აძლიერებს. დაპირისპირებული სახეების უკანასკნელი გადასახილი კულმინაციისგან სწრაფვის მომენტში პაეტორი ბროზოს დასასრულს გვამცნობს. ამ ბროზოს შედგენი დადებითი მუსიკალური სახის განმსკეცება. კულმინაცია (რაც ერთდროულად რეპრეზირის დასასრულს არის) ტრანსფორმირებულ ძირითად თემაზე მთელი ორკესტრის ხმოვანებაში სონატური ალგეროს ყველაზე მნიშვნელოვანი დრამატული ცენტრია. დამუშავებისა და ერთპირობის მიხედვით ამ თემის პიშიური ღერვა ნათელს ხდის ნაწარმოების ფსიქოლოგიური პროგრამის ახსნს.

სილო კადენცია რამანინოვის საორკესტრო კადენციების მსგავსად დრამატული განვითარების კიდევ ერთ საგულისხმო ეტაპს წარმოადგენს (თუმცა როგორც რამანინოვის, ისე სხვა ტრადიციული

ტობის კადენციებისაგან ძირეულად განსხვავდება). მდორე, რჩებულ ტრეტული, თბირობით ხასიათის დამახასიათებელი მინოლოგიური მერის მოყვება სონატური ალგეროს ნაწილის ექსპოზიციის — პირველი პირქუში ავორდებიდან, დამხმარ თემის ნახ, უწყველად გასხივის ნებულ ვლერადობამდე. ეს შესანიშნავი ღირვეული-დრამატული ჩანართი მოკლედია ტრავაგერულ „ბრავურულ“ ვირტუოზობას და ფსიქოლოგიურად ერთგვარ შესვენებას წარმოადგენს.

როგორც კადენციაში, ისე მთელ რეპროზიში დამხმარ თემის ღირვეული ტონუსია გაბატონებული. ექსპოზიციისაგან განსხვავებით აქ ამ თემის ორკესტრი ასრულებს. ტემპრული სახეცვლა (ვალტორას, ხის საგანგები, სიმფონები), ახალ-ახალ ბრწყინვალე ელფერს აძლევს მას. ნათელი ხალისიანი მელოდია ფორტეპიანოს პარტიაცაც იმორჩილებს, რომელიც ამ ნაწილისთვის დამასათოებელ პასაჟებზე აგებული. შესავლის მძლავრი დრამატული ხმოვნება კოპში სიმფონიური განვითარების პირველ ეტაპს ამოვარებს. კონცერტის მეორე ნაწილი — სკერცო კომპოზიტორის შინაფორტი გარდახმავალ კონტრასტს წარმოადგენს დრამატულ პირველ და მესამე ნაწილებს შორის. მისი მუსიკალური შინაარსი მართლაც მნიშვნელოვანდ განსხვავდება კონცერტის დანარჩენი ნაწილებიდან. მისთვის უცხოა შინაგან ემიციური სიღრმე, ამის ნაცვლად მის მოხდენილ, ხალხური იუმორით აღსაყვ სახეებს სრულიად ახალ სამყაროს გადაყავს მსმენელი.

სკერცო ორ თემაზეა აგებული, რომელთა მონაცვლეობა ათრულებს ჩვეულებრივ სანაწილიანობას და რინდის ფორმასთან ახლოვებს ამ ნაწილს. თითოეული მათგანი სანაწილიან ფორმას წარადგენს (a, b, a); პირველ თემას ყოველთვის უსწრებს მისთან მჭიდროდ დაკავშირებული მოხდენილი პასაჟები სიმფონიათა პიეკატის ფონზე. არა ნაკლებ მოხდენილი და გველუცია თვით პირველი თემა. მსუბუქე სახურგანი იერი მასში შესამებულია აქცენტრებულ საცეცხვი რიტმებთან. სილაღია და უშუალოდ ხასიათდება მეორე თემა, რომლის ინტონაციურ საფუძვლზე წარმოადგენს ცნობილი ხალხური ღირვეული სიმღერა „თებროზე მიდის წყალხუდა“. ეს თემა სკერცოს ცენტრალურ ეპიზოდს განასაბრებს და მოველობითაც მეტე ადგილი ეთმობს. მისი განვითარებისათვის კომპოზიტორი მრავალფეროვან გამოსახივთ საშუალებებს მიმართავს: განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალ-ახალი ფიგურაციები ფორტეპიანოზე და ორკესტრში, რაც მისი ფაქტურის ვარიეტებს იწყებს, თუმცა არსებითად არ სცვლის თემას, არამედ უფრო აღმაშავებს და ამოებს მას. კონტრასტული აღმაჯალი სკვენიტური სკერცოს დასასრულებს (fis, Es, c, A, As, E, F, fis) ერთგვარი ფანტასტიკური იდუმლების შობაგედობებს ახდენს.

განწყობილების ერთიანობა, რაც მონათესავე მუსიკალური სახეებითა მიწვეული, განპირობებს სკერცოს ემიციურ მონიანობას. სხვა ნაწილებთან შედარებით სკერცოში მეტი ყურადღება ეთმობა მოქნილ საფორტეპიანო ტექნიკას და ინტერუმენტის სპეციფიური გამომსახველ საშუალებების გამოყენებას.

მესამე ნაწილი — ანდალტი (e-moll) შეიგრძნობა, როგორც ღირვეული ინტერმედია დრამატული კულმინაციით.

ამ ნაწილთანავე დაკავშირებული კონცერტის ყველაზე საუკეთესო მხატვრული ღირსებები. ეს უმთავრესად თემაზე ოქტობის, რომლის გამოშვებულ კომპოზიტორის დიდი მღელვარე ნიჭი და ოსტატობა ჩანს. მისი ფართო უწყვეტი მუღლია დიდად და სცილდება ნაწარმოების ღირვეული სახეების (განსაკუთრებით ალგეროს დამხმარ თემის) ემიციურ სფეროს, მაგრამ ამ თემას უფრო რომანტიკული ელფერი აქვს და ბოლომდე ინარჩუნებს მშვიდი ელგეობიური ღირვის ხასიათს. მეორე თემატური ეპიზოდს ასვე განწყობილებას აგრძელებს. დრამატული დასაბოლოება შემოაქვს შესავლის თემას, რომლის ფანტაზებიც ამ წყნარ, ვრცელ ტემპ-ფეროში უფრო მეტი ენებით ვლერებს. აქ ეს თემა, ახალ დინამიკურ ეფექტს ქმნის, ამას ხელს უწყობს ეილიურიდან (fis) ფორველი კილოში (c) მოულოდნელი გადასვლა.



დაძაბული კუმინაციის შემდეგ რეპროზაში კვლე პოეტურად და ნაწლ. ოდენი დახუდლი ხმოვანებით, კიდევ უფრო ნაღვლიანად ჟერის ანდატეს თემის მულოდია, რომელიც ნათელ და მშვიდ ატმოსფეროს აღადგენს.

ანდატეული უპირატესობა საორგანოებრივ პარტის ემობაში. თუმცა ფორტკიანის კომპოზიტორი უკუარაღივს არ სტრუქტეს, ანდატეს განაპირა ეპიზოდებში მას თემის სოლოდ გადმოშლაც ყველაზე, მაგრამ მთელ ამ ნაწილში ნაკლებად არის გამოყენებული სპეციფიკური საფორტკიანო ფაქტორა და ხმოვანება. როგორც სოლო მომენტებში, ისე თანხლებით პასაჟებშიც იგი მოქმედებუა დამოუკიდებლობა და ერთ-ერთი რიგითი ინსტრუმენტის ადგილს იკავებს. კუმინაციურ ეპიზოდში მისი როლი უმარტანთ აქტიურია, მაგრამ აქ გამოყენებული პასაჟები ნაკლებად სანდტერესო და არა გამომსახველია.

სამაგიეროდ ანდატეში წამოწეული სხვა სოლო საკრავები ორკესტრისა და (ჩელი, პობო, ფაგოტი, სავირი, ვიოლინები) და მათი დაპირისპირება სანდტერესო ტემპებზე იერს აძლევს ამ ნაწილს.

ანდატე ამთავრებს ნაწარმოების დრამატულ ხაზს, მასთან ერთად კონფლიქტი ამოწურავს. ამირანთან კონცერტის ფინალში (Allegro molto - C-dur) ნათელი, ოპტიმისტური საწყისი იკავებს გაბატონებულ ადგილს. ამას მოწოდებს ძირითადი ლეიტმოტივის ახსოვებური მაქოლური ტრანსფორმაცია (C-moll, C-dur). ფინალში ეს თემა სრულიად ახალ ემოციურ შეგრძნებებითაა დაკავშირებული. აღარაფერი დარჩა პირქუში, მედგარი სპარტოლი იერად. ახლა მისი შინაგანი ენერჯია სასუიზო განწყობილებების შესაქმნელადაა გამოყენებული. შესანიშნავაა მიღწეული ადრინდელი მინორული სახის მაქორული ტანტაციება. ბრწყინვალედ და მხარსულად ჟერის ვალტორნებისა და ტამბორინების ფანფარები. ეს უკვე სასუიზო მოწოდებაა. ლეიტთემის ასეთი მოდულაციური გააზრება განასაზღვრავს ნაწარმოების ძირითად იდეურ ჩანაფერს და კვლავ ჩაიკეთის შემოქმედებით მეოთხედან, კერძოდ მისი მუხუთ სიმფონის თემის ასეთსავე გარდაქმნასთან იწყებს ასოციაციას.

ფერალესა რა ფინალს — შესაჯღში და კოდში გაღვლით — ძირითადი ლეიტმოტივი საერთო ლხინში ჩაერთვის, როგორც მისი მონაწილე. დანარჩენი სახეები ამ ნაწილის ცენტრში მთავარი თემის და მისი მრავალფეროვანი ვარიაციების ირგვლივაა შემოკრებილი. ფინალი ახალაზრდული მეჯლისის ფერადოვანი სურათების ციკლს წარმოადგენს.

ტრადიციულად საკონცერტო ფინალუბისათვის უფრო ხშირად და უშეაყრესად რომდს ფორმას იყენებენ: ამ ტრადიციის დარღვევას ვხვდებით რამსანიინოვის შემოქმედებაში, რომლის საკონცერტო ფინალში სონატურ ალეროს ფორმაშია დაწერილი ან უახლოვდება მას. შედარებით იმეოვანა მიმართავენ ვარიაციულ ფორმას კონცერტის ფინალში. ყველაზე ადრეული ნიმუშები ვარიაციული ფინალისა შემწან კონცერტში თავის C-dur № 17 და c-moll № 24 საფორტკიანო პირველ ნიმუშებში. ვარიაციული ფორმითაა დაწერილი გლაზუნოვის I საფორტკიანო კონცერტის ფინალიც (II ნაწ.).

ო. თაქთაქიშვილის კონცერტის ფინალი იმდენად დამაჯერებელია და გამაბრუნებელი ნაწარმოების და თვით ამ ნაწილის საერთო შთანაფერითი, რომ სრულებითაც არ იწყებს ეჭვს მისი უჩვეულო ფორმაში.

მნიშვნელოვანია არა ის ფაქტი, რომ კომპოზიტორმა ამ ფორმას მიმართა, არამედ ის, თუ როგორ გამოიყენა იგი.

ფინალი უდავოდ გამოირჩევა შემოქმედებითი ოსტატობით, კომპოზიტორის ფართო გამოგონებლური ნიჭითა და ფანტაზიით. ვარიაციუბისათვის თაქთაქიშვილმა ამოირჩია მახვილი, მზიარული მარმისებრი წყობის თემა. ამასთან იგი მოკლებული არ არის სასიმღერო გამომსახველობასაც, თუმცა მისი მელოდია ტიპიური ინსტრუმენტული წარმოშობისა. თავისი უბრუნებელი, დამასასიათებელი ინტონაციით კლასიკური ვარიაციების თემას უახლოვდება. ძნელა განისაზღვროს მისი ინტონაციური წყარო: ერთსა და იმავე

დროს მასში ვენის კომპოზიტორთა ზოგადი სტილისტური მსგავსებით ჩანს, სლავური, ხლოო ლატი სასიმღერო წარმოშობით ქართულია, თუმცა არ შეიძლება ქართული მელოდიების უხსტად რომელიმე ტიპს მივაჯეროთ. თორმეტ ვარიაციაში ამ თემის მრავალფეროვანი, ყოველივის ახალი გაუწყება მოცემული, სტარობის კი ლატი, სასუიზო განწყობილება.

თემის ცალმხიან მელოდისა (C-dur) ფორტკიანო გადმოგეცემს, ზუსტად ფრანსო უკვე ჩამინიშნული ბგერებით იცხება, რაც უფრო მეტად აყალიბებს მის კონტურებს. პირველ ვარიაციაში თემა პობოის და ფაგოტს მიჰყავს ფორტკიანოს ჩამინიშნული თანხლებით, აქაც იგივე შევსებაა მისი მელოდიური ხაზისა და არა გაღრმავება.

შემდგომ ვარიაციებში ტემპების დაპირისპირების წყალობით, მათ საკონცერტო შეჯიბრში მელოდიური სახე უფრო ფართოდ იხსენება; ამისათვის თემის გარდატეხის ზოგიერთი მეტად სანდტერესოდ მიგნებელი ხერხებია გამოყენებული.

მესამე, მეოთხე და მეორეთმეტე ვარიაციებში მავალითად სხვადასხვა ტიპის ორი ვარიაცია ფორტკიანოში და ორცენტრში ერთმოდულად ჟერს. სანდტერესოა მერვე ვარიაციის რთული ტრიოლენიანი, ფორტკიანოსა და ხის სახარავები ოსტატურად გააანლართული ფაქტორა და სხვა, მაგრამ ვაჭტურული ვარიაციები ამასთან ერთად ძირითადი სახის ახალ და ახალ ფსიქოლოგიურ შეგრძნებას ქმნიან. აქ არის მხიარული, ლატი განწყობილება (I, II, X ვარიაციებში), საცგვაო ელფერი (მესამე ვარიაციაში), გრტესკი (V და VII ვარიაციებში), ლირიული, ოდნავ მინორული განწყობილება (IX ვარიაციაში g-moll) და დიდებულ სასუიზო ხმოვანება (XI და XII ვარიაციებში).

კოდა, როგორც უკანასკნელი ვარიაცია (XII) თავისი სასუიზო მარმის რიტმით ამთავრებს ამ მრავალფეროვანი სურათების ვაერებას, მის წინა ვარიაციაში იწყება განვითარების შემკაბმეული პრეცესი. აქ თემა თავისი ძირითადი სახით ორცენტრში ჟერს, მძლავრად პომპეზურად, როგორც დასკვნა, შედეგი; სოლისტი ამკობს მის ვირტუოზული ტრიოლენიანი პასაჟებით. სოლისტის ოტკავებისა და აკორდების მოზღვაველები ტალღა ნაწარმოების ტრადიციულ სასუიზო დასასრულს გაემყნოს.

* * *

ო. თაქთაქიშვილის საფორტკიანო კონცერტი მისი შემოქმედების ევოლუციაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სხვა დიდი ფორმის ნაწარმოებებთან ერთად. მასში ყველაზე მეტად ჩანს რთული თანამედროვე ცხოვრების ნათელი ოპტიმისტური შეგრძნება, მისწრაფება წინადადებობათა დაძაფრებას და გამარჯვების სისარუნელებს.

უდავოდ დიდია ამ ნაწარმოების მნიშვნელობა ქართული ინსტრუმენტულ მუსიკაში და კერძოდ ინსტრუმენტული კონცერტის ეანრში. უკავშირდება რა ძირითადად რუსულ და ევროპულ კლასიციზმს, ამავე დროს კომპოზიტორი ერთგულად ტრადიციების მყარ საფუძველზე დგას და მის შემდგომ განვითარებას ისახავს მიზნად.

შემოხვედითი არ არის, რომ თაქთაქიშვილი ქართული ინსტრუტული მუსიკისა და ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეანრს, ინსტრუმენტულ კონცერტს მიმართავს. ეს ყველაზე უფრო დემოკრატიული და პოპულარული ეანრი მთელ რიგ მნიშვნელოვან ნიმუშებს ითვლის ჩვენში. მათ შორისაა ო. თაქთაქიშვილის საფორტკიანო კონცერტიც, რომელიც თავისი ორიგინალური შთანაფერითა და იდეით ამ ეანრის განვითარების ძირითად გეზს აგრძელებს, და ამავე დროს იძლევა მის ახალ ხარისხს. იგი ინტერესს იკვებს ეანრის და ფორმის ევოლუციის თვალსაზრისითაც.

თუ ამ ნაწარმოებში წამოჭრილი საკონცერტო ციკლის გაფართოების იდეა ორიგინალური არ არის, ახლებურა მისი დრმატურება; ძირითადი თავსებებურება კი ლირიკო-დრამატული სიმფონიზმის პრინციპების განვითარებას უკავშირდება.

ნაწარმოების დედა იხსენება დასრულებულ, კარგად გააზრებულ



ნათელ სახეებში, რომელთა კონტრასტული და ამავე დროს პარამონულ მთლიანობაში შეზავებული მრავალფეროვნება მის მხატვრულ ღირსებას შეადგენს.

შესანიშნავადაა დაძლეული ჯანრის თავისებურება. ეს პარტიკულარ კომპოზიტორის საორკესტრო შესაძლებლობათა ვასნის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია. ერთგვარი ნაკლი ამ მხრივ გააჩნია თვით საფორტეპიანო პარტიკაში. მართალია, ძირითადად იგი აქტიურია ორკესტრთან შეჯიბრში, მოკლებულია განგებ ვართულეულ ვირტუოზულ საწყისს და მისი ფაქტურა საშემსრულებლო თვალსაზრისით მოსახერხებლადა დაწერილი, მაგრამ გამომსახველი საშუალებებით შედარებით ერთგვაროვანია; ხშირად მიმართავს კომპოზიტორი პარალელური უნისონების სერებს, ოქტავურ და აკორდულ ფაქტურას, მცირე ადგილს უთმობს წერილმან საფორტეპიანო ტექნიკას (შედარებით უკეთესი მდგომარეობა ამ მხრივ სკერცოში), ზოგჯერ ფორტეპიანოს როლს დახმარებ ინსტრუმენტის მონაწილეობამდე აქვეითებს (ანდანტე) და ამ შემთხვევაში უპირატესობას აძლევს ორკესტრს. თვით ორკესტრის ტემბრების დაპირისპირება და მონაცვლეობა ამდიდრებს პარტიკურას, მაგრამ ნაკლს ვერ ავსებს.

სრულიად თავისებურია კონცერტის სტილიტიკური მხარე. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს მისი ინდივიდუალური მელოდური და პარმონიული ენა.

კონცერტის თემები მრავალფეროვან მელოდებზეა აგებული, მათთვის დამახასიათებელი დასრულებული სასიმღერო საწყისით. ნამდვილ ფოლკლორულ მასალას კომპოზიტორი მხოლოდ ერთ შემთხვევაში — სკერცოს შუა ნაწილში იყენებს („თებორზე მიდის წყალზედა“). ამ სიმღერის დამუშავება ნათელყოფს თავთქიშვილის შემოქმედებით მიღდომას ხალხური თემბატური მასალისადმი. მაგრამ ხალხურობას კომპოზიტორი აღწევს არა მარტო ხალხური ციტატების გამოყენებით, არამედ საკუთარი მუსიკალური აზროვნების თავისებურებით, რომელიც ქართული მუსიკის მყარ საფუძველზეა აღმოცენებული.

სრულიად ორიგინალურია თავთქიშვილის პარმონიული ენა. მასში განზოგადებულია ერთნეული პარმონიის სხვადასხვა განსტობანი. ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენადაა მინეული ქალაქური და გლეხური ფოლკლორის პარმონიული სტილის სინთეზი, რაც მისი პარმონიული ენის დამახასიათებელი მხარეა თვით განსახილველ ნაწარმოებებშიც.

იღერური კონცეპციით, თანამედროვეობის პრობლემის ორიგინალური გადაწყვეტით, მუსიკალური აზროვნების სისახლით ო. თავთქიშვილის საფორტეპიანო კონცერტი დიდი ხანია ნოვატორულ ნაწარმოებადაა აღიარებული. მისი დიდი პოპულარობა ავტორის ნათელი ნიჭის დადასტურებაა.

ახალგაზრდული შექარათობი

ზაირა რატაიანი

საბჭოთა ხალხმა, ჩვენმა ახალგაზრდობამ ზეიმით აღნიშნა ლენინური კომკავშირის ნახევარსაკუთრებანი იუბილე. ეს იყო ქვემორტიდა სახალხო დღესასწაული. ბრძოლითა და შრომით განვლილი სახელოვანი გზის ფასად კომკავშირმა ფართო აღიარება და სიყვარული დაიმსახურა. არ დარჩენილა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური თუ კულტურული ცხოვრების არცერთი უბანი, სადაც კომკავშირის აღზრდილებს საკუთარი სიტყვა არ ეთქვამთ და საკუთარი წვლილი არ შეტანაო.

სცენის ოსტატთა თაობებმა, თეატრალურმა ახალგაზრდობამ უდიდესი როლი შეასრულა ქართული თეატრის ჩამოყალიბება-განვითარებაში.

„ხელოვნების მიზანია წარსული და მომავალი შეკრების თანამედროვეობაში“ — ამბობდა ქართული საბჭოთა თეატრის დიდი ორგანიზატორი კოტე მარჯანიშვილი. ეს მითითება გუბის მომცემი აღმოჩნდა იმ ახალგაზრდებისათვის, რომელიც სა-

თავში ჩაუღვა კოტე მარჯანიშვილი; მასში ქართული თეატრის დროებით დასურვაზე იყო ლაპარაკი. კოტემ ითავა მათი ხელმძღვანელობა. დასადგმულად ღოჭე დე ვეგას „ცხვრის წყარო“ აირჩია. მან ხალხის რევოლუციური სულისკვეთების გამოხატულება დაინახა აღორძინების ხანის ამ პიესაში.


დასის შემდგენლობა ძირითადად ახალგაზრდობისაგან შესდგებოდა. „ცხვრის წყარო“ უმრავლესობისათვის პირველი სპექტაკლი იყო. ზოგსაც კი ორივედ როლი ჰქონდა ნათამაშები; ახალგაზრდულმა შემაერთებამ მისცა ძალა მსახიობებს მოკლე დროში ბრწყინვალე გამარჯვებისათვის მიეღწათ. მარჯანიშვილის გენიალურმა აღწერამ იმთავითვე ამოიციოთ თითოეულის მსახიობური შესაძლებლობა.

„ცხვრის წყარო“ ტრიუმფით მიიღო მათყურებელმა. პირველმა სპექტაკლმა დაამტკიცა, რომ „აღმოცენდა ახალი თეატრი“, ახალი იდურ-მხატვრული მსოფლმხედვე-

ლით. აქვე მოისაზრა მსახიობთა შემდგომი გზაც. „ცხვრის წყარო“ ნამდვილი დღესასწაული იყო: მარჯანიშვილს გვერდში ამოუდგინენ ახალგაზრდები — თამარ ჭავჭავაძე, გიორგი დავითაშვილი, აკაკი ვასაძე, დავით ჩხეიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, მიხეილ ლორთქიფანიძე, უშანგი ჩხეიძე, აკაკი ხორავა, ხილო ძველი გვარდიდან — ტასო აბაშიძე, ალექსანდრე იმედაშვილი, ნ. გვარამე და გამარჯვებაც მოიპოვეს.

თამარ ჭავჭავაძის ტემპერამენტმა და მინაგავსა ძალამ, პლასტიკურობამ, სცენურმა მომზიბელობამ, პირველად ლაურენსის როლშივე რომ გამოიკვება, განაპირობებს მსახიობის შემდგომი გამარჯვებანი.

აკ. ვასაძის გარდასახვის უნარი, შესანიშნავი აქტიურული ტექნიკა, რაც შემდგომში ასე ხელაყვდა მაყურებელს ფრანკ მორისა და იაკობი, პეპიასა და ნერონში, მისი პირველსავე როლშივე იგრძნობოდა უყვ. ასევე ნ. ლაბაშიძის განუყოფრებელი აქტიურული მონაცემები თავიდანვე მკა-



ამ ჩამდინებ ხნის წინ საქართველოს კანტონის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიონული კომიტეტის შინაგან საქონელი ვითარებაში გაიხსნა ვ. ი. ლინის დახმარებით 100 წლისთავსა და მიძღვნილი გამოფენა.

ფართო და ნაყოფიერი დარბაზებში წარმოდგენილი იყო ქართველი მხატვრების — ალექსი და ივანე ვეფხვაძეების, ზურაბ ლევიაშვილის, ვიოლე ნაშის, ენის მემარიაშვილისა და სხვათა მიერ შესრულებულ ბიური სიაჩარქოს ნამუშევარი. აქ შეიკრიბნენ რაიონის სწავლობა-დაწესებულებათა წარმომადგენლები, მხატვრები, პარტიული მუშაკები.

გამოფენის გახსნისა და მიძღვნილი საზეიმო შეკრება გახსნა ოქტომბრის რაიონის საოჯახოებმა „კოდის“ თავმჯდომარის მოადგილემ, ოროსკედისა და ტრავმატოლოგიის სამედიცინო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, მდიდის მუშაკებმა და ოქტომბრის ბიურის წევრებმა. მოხსენებები გაიკეთა ხელისუფლების და მასხარებელი მოღვაწეების მიერ.

ფილი გამოჩნდა. რომელი ერთზე უნდა შევიწროდო... მოკლე ხანში წამყვან ძალად იქნენ: უმანგი ჩხეიძე, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, ვერიკო ანაფორიძე, ვასო გოძიაშვილი, გიორგი დავითაშვილი, მიხეილ ლორთქიფანიძე... ეს ახალგაზრდები ძირითად ბირუს წარმომადგენლები ახალი იდეების გამომხატველი კორპორაცია „დურუჯისა“, რომლის ინიციატორი სანდრო ახმეტელი იყო. ახალგაზრდობამ ბრძოლა გამოუცხადა ყოველივე ძველს, დრომოჭმულს ხელისუფლებას.

„დურუჯი“ იბრძოდა ახლის დასამკვიდრებლად. იბრძოდა თავგანწირვით სიტყვით და საქმით. მათთან იყო კოტე მარჯანიშვილი, რომელიც ამბობდა: ვული ჩემი დაიღალა, მაგრამ მუდამ თანამგრძობი იქნება ახალგაზრდობის წმინდა, ფაქიზ და

მშვენიერ მისწრაფებისა. და თუმცა „დურუჯელებმა“ ახლის ძიებაში ზოგი რამ შევიდნენ, რითაც ძველი თაობის მსახიობთა გულისწყრომა და მისახურეს, მაგრამ შესძლებს გამარჯვებით დაემტკიცებინათ თავისი სიმართლე.

მოსკოვის გასტროლებზე ახალგაზრდა მსახიობებმა გააოცეს მაყურებელი. ნიჭიანი, ტემპერამენტითან, ახალგაზრდულ მგზნებარებასთან ერთად ისინი უკვე დიდ ოსტატობას ავლენდნენ.

აკ. ხორავა განსაკუთრებით ბერსენევის („რდევია“) და ანზორის („ანზორ“) შემდეგ ალიარეს დიდ მსახიობად. ხორავას ვაჟაკური შემართობა, მგზნებარე ტემპერამენტი, იშვიათი სცენური მომხიბვლელობა ახალგაზრდობაშივე გამოიკვეთა. როლებს როლები მისდევდა, გამარჯვებას გა-

მარჯვება და ბოლოს საყოველთაოდ აღიარებულმა მისმა ოტელიმ („ოტელი“) სამუდამოდ დაუმკვიდრა ხორავას ორმა ასურისა და დიდი ემოციის მსახიობის სახელი.

